საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 427-02
31/03/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოებული კვლევითი პროექტების ეთიკის ნორმების დაცვის დამდგენი კომისიის შექმნისა და მისი სამუშაო პირობების განსაზღვრის შესახებ

გამომდინარე იქედან, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი კვლევები, მათ შორის ისეთი კვლევები, რომელთა წარმოებისას შესაძლოა დადგეს კვლევების ეთიკის ნორმების დაცვის საკითხი, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, არსებობს საჭიროება უნივერსიტეტში არსებობდეს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც დაადგენს კვლევითი პროექტების შესაბამისობას ზოგადსაკაცობრიო და შიდასაუნივერსიტეტო ეთიკის ნორმებთან და ღირებულებებთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოებული კვლევითი პროექტების ეთიკის ნორმების დაცვის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ნინო დობორჯგინიძე - რექტორი, პროფესორი.
ბ) ივანე აბიათარი - ასოცირებული პროფესორი.
გ) ნათია კოპალიანი - პროფესორი.
დ) ნინო როდონაია - ასოცირებული პროფესორი.
ე) ნინო პატარაია - პროფესორი.
ვ) ნიკოლოზ ონიანი - პროფესორი.
ზ) ნინო ჯავახიშვილი - პროფესორი.
თ) ნატა მეფარიშვილი - ასოცირებული პროფესორი.

2. კვლევითი პროექტების ეთიკის ნორმების დაცვის დამდგენი კომისიის მუშაობისთვის განისაზღვროს შემდეგი პროცედურა:
- დაინტერესებული პირის მიერ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე წერილობითი მომართვის ფორმით შემოსული განცხადება ქვემდებარეობისამებრ ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს/სკოლას.

- შესაბამისი ფაკულტეტი/სკოლა შეისწავლის შემოსულ განცხადებას, უგზავნის განსახილველად ეთიკის ნორმების დაცვის დამდგენ კომისიას და აორგანიზებს კომისიის სხდომას.
- კვლევითი პროექტების ეთიკის ნორმების დაცვის დამდგენი კომისია 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილავს შემოსული განაცხადის შესაბამისობას ზოგადსაკაცობრიო და შიდასაუნივერსიტეტო ეთიკის ნორმებთან და შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც უგზავნის შესაბამის ფაკულტეტს და განმცხადებელს.
- კომისია უფლებამოსილია განიხილოს განაცხადი, თუ სხდომას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.
- გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით და კომისიის სხდომები ფორმდება ოქმის სახით.
- კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნას სხვა პირები/დარგის სპეციალისტები, რომლის თაობაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიცემა რექტორის ბრძანება.
- კომისია უფლებამოსილია სხდომა წარმართოს ონლაინ ფორმატში, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

3. ამ ბრძანების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად იქნას ცნობილი რექტორის 2014 წლის 16 ოქტომბრის N02-2055 ბრძანება.

4. კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების გაცნობა პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისთვის და უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო ერთეულისთვის.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი